უეფა–ს თასი

კიდევ და კიდევ სინანულით ვიხსენებთ თბილისის დინამოელთა პირველ შეხვედრას იტალიის "ნაპოლისთან". უდავოა, დინამოელებს ორი კვირის წინ შეეძლოთ უკეთესი ანგარიშით მოეგოთ თამაში და უფრო არგუმენტირებული განაცხადი ჰქონოდათ საბოლოო წარმატებისთვის, მაგრამ მაშინ ჩვენმა გუნდმა ვერ გამოიყენა რამდენიმე მეტად ხელსაყრელი მომენტი და გამარჯვებას დასჯერდა მხოლოდ მინიმალური უპირატესობით – 2:1.

ნეაპოლში 29 სექტემბერს ჩატარებული მატჩი, რა დასამალია, არ მიეკუთვნება თბილისის "დინამოს" აქტივს. გუნდს აკლდა რამდენიმე წამყვანი, ძირითადი მოთამაშე, რომლებიც ასეთ შემთხვევებში ბრძოლის ბედს წყვეტენ ხოლმე. ამიტომ, ეტყობა, "დინამომ" მიზნად დაისახა ფრედ დაემთავრებინა მატჩი და თუმცა იგი ახლოს იყო ამ მიზანთან, მასპინძლებმა მაინც შეძლეს ერთადერთი, გადამწყვეტი ბურთის გატანა. ჩვენი აზრით, თამაშის შედეგზე დიდად იმოქმედა იმან, რომ "დინამოში" სუსტად ითამაშეს თავდამსხმელებმა. 90 წუთის მანძილზე ჩვენმა ფორვარდებმა ვერ შეძლეს რეალური სახიფათო მომენტი შეექმნათ მეტოქის კართან, ასეთ რთულ მატჩში კი, მხოლოდ დაცვისა და შუა ხაზის მოთამაშეთა ხარჯზე, ძალზე ძნელია წარმატების მოპოვება. თავდასხმის პასიურობა, შეიძლება ითქვას, წაგების ფასად დაუჯდა ჩვენს გუნდს.

საერთოდ, დინამოელებმა ამ მატჩში რატომღაც უღალატეს თავიანთი ტრადიციული თამაშის მანერას, მოქმედებდნენ ზედმეტი სიფრთხილით, შებოჭილად.

მაგრამ არის კიდევ ერთ მიზეზი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ამ მატჩის შედეგზე.

ლაპარაკია იმაზე, რომ დასავლეთგერმანელმა არბიტრმა ვ. ეშვაილერმა არ ჩათვალა "ნაპოლის" კარში თბილისელთა მიერ გატანილი გოლი.

ჩვენ ყველამ ყურადღებით ვნახეთ თამაშის ტელერეპორტაჟი, საკუთარი მოსაზრებებიც გაგვაჩნია, მაგრამ ჯობს სიტყვა მივცეთ მას, ვინც უშუალოდ ესწრებოდა მატჩს, ვინც საკუთარი თვალით ნახა ყველაფერი და მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზეც გაარკვია მომხდარი ინციდენტი. აი, რას წერს გაზეთ "სოვეტსკი სპორტის" სპეციალური კორესპონდენტი ი. სეგენევიჩი: "ამ შეხვედრაში გაიტანეს 2 გოლი. ორივე საჯარიმო დარტყმით. მაგრამ პირველი მათგანი მატჩის მსაჯმა ეშვაილერმა ჩათვალა, მეორე კი არა. არ ჩათვალა გოლი, რომელიც თბილისელებმა გაიტანეს მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე.

ამ ეპიზოდში თბილისელთა კაპიტანი ჩივაძე დარტყმას ასრულებდა კარიდან 20 მეტრის დაცილებით. მან დაარტყა მას შემდეგ, რაც ეშვაილერმა უკან დაწია "კედელი", თვითონ კი გვერდით გადგა. ჩივაძემ ზუსტად დაარტყა კუთხეში, რამაც "ნაპოლი" შოკში ჩააგდო.

მაგრამ ეშვაილერმა გოლი არ ჩათვალა და თბილისელებს წინადადება მისცა გაემეორებინათ საჯარიმო დარტყმა. მეორე დარტყმას შედეგი არ მოჰყოლია და იტალიელებმა, რომლებიც მთელი გუნდით იცავდნენ თავს, შეძლეს შეენარჩუნებინათ მინიმალური ანგარიში, რაც მათ ყოველმხრივ აძლევდა ხელს.

როგორც არ უნდა ახსნას ეშვაილერმა თავისი გადაწყვეტილება, იგი, რბილად რომ ვთქვათ, მაინც სადავოდ გვეჩვენება. თუ მსაჯმა დარღვევა მიიჩნია დამცველი გუნდის მხრივ, მას გადაწყვეტილება გამოუტანია დამნაშავეთა სასარგებლოდ. მიუღებელია ის ახსნაც, რომ ჩივაძემ საჯარიმო შეასრულა სასტვენის ხმამდე. მოთამაშეები ამტკიცებენ, რომ მსაჯმა მისცა სიგნალი, მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, ეშვაილერს არ ჰქონდა საფუძველი შეეჩერებინა სასტვენი. ჩივაძე, დარტყმისთვის ემზადებოდა უკვე მას შემდეგ, რაც "კედელი" უკან იქნა დაწეული საჭირო მანძილზე".

შემდეგ "სოვეტსკი სპორტის" სპეციალური კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ დინამოელთა ნერვიული განწყობილება გასაგებია. ავადმყოფობის გამო ნეაპოლში ვერ ჩამოვიდა ხინჩაგაშვილი, ტრავმები არ ჰქონდათ მოშუშებული გუცაევს და მესხს, დიდ ხანს გაურკვეველი იყო გამოვიდოდა თუ არა სათამაშოდ ცავა, ვინაიდან უეფა–მ შეცდომით არ დართო მას უფლება ეთამაშა "ნაპოლისთან" და მხოლოდ ჩვენი გუნდის დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ მოვიდა დეპეშა იმის თაობაზე, რომ ცავას თურმე, ჰქონია თამაშის უფლება.

"ნაპოლიმ" თბილისელთა კარში ბურთი გაიტანა 59–ე წუთზე. საჯარიმო დარტყმა მოიგერია გაბელიამ, ბურთს მიუსწრო დალ ფიუმემ და ახლო მანძილიდან დააწინაურა თავისი გუნდი. ბოლო 10–15 წუთის მანძილზე თბილისის "დინამომ" აჩვენა თავისი ნამდვილი თამაში, ამ ხნის მანძილზე მასპინძლები მთელი გუნდით იცავდნენ კარს და ჩივაძემაც სწორედ მაშინ გაიტანა გოლი, რომელიც ვ. ეშვაილერმა არ ჩათვალა.

მატჩს, რომელიც ჩატარდა ნეაპოლში "სან–პაულოს" სტადიონზე, 90 ათასი მაყურებელი დაესწრო.

გუნდების შემადგენლობა: “ნაპოლი”: კასტელინი, ბრუსკოლოტი, ფერარიო, ჩელესტინი, კროლი, ჩიტერიო (ამოდიო), ვინაცანი, დალ ფიუმე, დიასი, კრიშიმანი (მარინო), პელეგრინი; “დინამო” – გაბელია, პაიკიძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, კაკილაშვილი (მესხი), ცავა (ჯოხაძე), შენგელია. გააფრთხილეს ჩელესტინი, დარასელია, სულაქველიძე.

“ლელო”, 2 ოქტომბერი, 1982 წ.